რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელმა აღმოსავლეთის ასურეთის ეკლესიის ახალარჩეული წინამძღვრის ინტრონიზაციაში მიიღო მონაწილეობა



2021 წლის 13 სექტემბერს, ანკავაში, ერაყის ქალაქ ერბილის ქრისტიანულ გარეუბანში, წმინდა იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარში, აღმოსავლეთ ასურეთის ეკლესიის ახლად არჩეული უწმინდესი კათოლიკოს-პატრიარქის მარ ავა III -ის ინტრონიზაციის წეს-განგება შედგა.

ახალი წინამძღვარი 8 სექტემბერს ერბილში (ქურთების ავტონომიური ოლქი, ერაყი) ასურეთის კათოლიკოს-პატრიარქების რეზიდენციაში სინოდის სპეციალურ სხდომაზე იქნა გამორჩეული. მისმა

წინამორბედმა – უწმინდესმა კათოლიკოს-პატრიარქმა მარ გევარგის III-მ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადადგომის გადაწყვეტილების შესახებ განცხადება გააკეთა.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს ლოცვა-კურთხევით, მარ ავა III-ის ინტრონიზაციის ზეიმთან დაკავშირებით, მოსკოვის საპატრიარქოს წარმოადგენდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ბეირუთის მეტოქის წინამძღვარი არქიმანდრიტი ფილიპე (ვასილცევი).

ინტრონიზაციის წეს-განგება აღმოსავლეთის ასურეთის ეკლესიის ეპარქიალურმა მაღალიერარქებმა აღასრულეს.

ღვთისმსახურებას ესწრებოდნენ პაპის ქრისტიანული ერთობის ხელშეწყობის საბჭოს თავმჯდომარე, კარდინალი კურტ კოხი; წმინდა საყდრის წარმომადგენელი ერაყში, მთავარეპისკოპოსი მიტია ლესკოვარი; ახლო აღმოსავლეთის ეკლესიების წარმომადგენლები; ასევე ერაყის ქურთისტანის პრეზიდენტი ნეჩირვან ბარზანი; ერაყის მინისტრთა კაბინეტისა და პარლამენტის წარმომადგენლები, ერბილში აკრედიტებული დიპლომატები, მათ შორის ერბილში რუსეთის ფედერაციის გენერალური კონსული ო. ვ. ლევინი.

ინტრონიზაციის წეს-განგების დასრულების შემდეგ, კათოლიკოს-პატრიარქმა მარა ავა III-მ დამსწრეებს საინტრონიზაციო სიტყვით მიმართა.

კათოლიკოს-პატრიარქის მარ ავა III-ის ინტრონიზაციასთან დაკავშირებით მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს გზავნილი არქიმანდრიტმა ფილიპემ გააჟღერა.

კათოლიკოს-პატრიარქმა მარ ავა III მილოცვა მიიღო, ასევე, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონისგან.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა კათოლიკოს-პატრიარქს საჩუქრად ვერცხლის გამშვენებული ჯვარი გადასცა.

ინტრონიზაციის წეს-განგების დასრულების შემდეგ უწმინდესმა მარ ავა III-მ, როგორც აღმოსავლეთის ასურეთის ეკლესიის წინამძღვარმა პირველი ლიტურგია აღასრულა.

ღვთისმსახურების დასასრულს საზეიმო მიღება გაიმართა, რომელიც აღმოსავლეთ ასურეთის ეკლესიის

ახლად არჩეული წინამძღვრის მარ ავა III-ის ინტრონიზაციას მიეძღვნა.

***

აღმოსავლეთის ასურეთის ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქად არჩეული ეპისკოპოსი მარ ავა (საერო სახელი - დავით (დევიდ) როიელი) დაიბადა 1975 წლის 4 ივლისს ჩიკაგოში, ასურელი ემიგრანტების ოჯახში.

1992 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა მარ დინჰი IV მას დიაკვნად დაასხა ხელნი.

1997 წელს მომავალმა პატრიარქმა ხელოვნების ბაკალავრის ხარისხი მიიღო ჩიკაგოს ეგნატე ლოიოლას უნივერსიტეტში, 1999 წელს – თეოლოგიის ბაკალავრის ხარისხი მანდელინის წმინდა მარიამის უნივერსიტეტში (აშშ).

2001 წელს ის რომში პაპის აღმოსავლეთის ეკლესიების ინსტიტუტის ლიცენზიანტი გახდა; 2007 წელს იქვე დაიცვასადოქტორო დისერტაცია.

2006 წელს ხელთდასხმულ იქნა მღვდლად ქორეპისკოპოსის ხარისხით (რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში დეკანოზის წოდებას შეესაბამება), ხოლო 2008 წელს არქიდიაკონის ხარისხში ამაღლდა (შეესაბამება პროტოპრესვიტერის წოდებას).

2008 წელს ხელნი დაასხეს ეპისკოპოსად და დაინიშნა კალიფორნიის ეპარქიის მმართველ მღვდელთმთავრად.

2015 წლიდან ის იყო სინოდის მდივანი, ასევე აღმოსავლეთის ასურეთის ეკლესიის ეკლესიათაშორისი ურთიერთობებისა და განათლების განვითარების კომისიის თავმჯდომარე, 2016 წლიდან – რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და აღმოსავლეთის ასურეთის ეკლესიას შორის დიალოგის კომისიის თანათავმჯდომარე.

რამდენჯერმე ეწვია რუსეთს, მათ შორის კათოლიკოს-პატრიარქ მარ დინჰი IV-ის რუსეთის

მართლმადიდებელ ეკლესიაში ვიზიტის დროს (2014 წლის 26 მაისი – 9 ივნისი), ასევე, ორმხრივი დიალოგის კომისიის შეხვედრების დროს მოსკოვში (2016 წლის 18 მაისი – 20 მაისი) და სანკტ-პეტერბურგში (2018 წლის 23 – 27

ოქტომბერი).

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88018/